



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49203321

თარიღი:27/11/2020

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №36 80**

**შპს „საფეხბურთო კლუბ სამგურალისათვის“ (ს/კ 4212277175) 49 წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით, ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩა N2-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 600 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (საკ.კოდი N29.08.32.528) და რუსთაველის ქუჩისა და ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ განთავსებული, 4677 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი N29.08.32.532) გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 26 ნოემბრის N48-482033162 და N48-482033163 წერილები, რომლებშიც შპს „საფეხბურთო კლუბ სამგურალის“ პრეზიდენტის წერილის საფუძველზე, ითხოვს თანხმობას აღნიშნულ შპს-ს, 49 წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით, სპორტული სკოლის ადმინისტრაციული შენობის ასაშენებლად გადასცეს ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩა N2-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 600 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკ.კოდი N29.08.32.528) და სპორტული სკოლისათვის ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის ასაგებად რუსთაველის ქუჩისა და ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ განთავსებული, 4677 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკ.კოდი N29.08.32.532).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს იმის შესახებ, რომ შპს „საფეხბურთო კლუბ სამგურალის“ 49 წლის ვადით, სარგებლობის

უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით, სპორტული სკოლის ადმინისტრაციული შენობის ასაშენებლად გადასცეს ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩა N2-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 600 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკ.კოდი N29.08.32.528) და სპორტული სკოლისათვის ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის ასაგებად რუსთაველის ქუჩისა და ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ განთავსებული, 4677 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკ.კოდი N29.08.32.532).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერსა და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის  
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

